აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვა გაიზარდა



საქართველოს ეროვნული სტატისტიკური სამსახურის ცნობით 2013 წლის გასული 8 თვის განმავლობაში აზერბაიჯანსა და საქართველოს შორის სავაჭრო ბრუნვამ 840.61 მილიონი დოლარი შეადგინა. ეს საქართველოს საერთო საგარეო სავაჭრო ბრუნვის 12.7 პროცენტს შეადგენს. აგრეთვე ცნობილია, რომ ეს მაჩვენელი 2012 წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელზე 3.26 პროცენტით მედია.
ამა წლის 8 თვეში საქართველოს საერთო საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 6.64 მილიარდ დოლარს შეადგენს და ეს გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 0.13 პროცენტით ნაკლებია. აზერბაიჯანი თურქეთის შემდეგ საქართველოს მეორე სავაჭრო პარტნიორია. მესამე ადგილზე კი უკრაინაა.